



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: იანუს ურიასი, შჩეცინის საზღვაო აკადემია, პოლონეთი

წევრები:

ია მოსაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ამირანაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ორაგველიძე, სსიპ საზღვაო სატრანსპორტო სააგენტო, შრომის ბაზრის ექსპერტი

დავით ტეფნაძე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, სტუდენტი ექსპერტი

თბილისი

2018

## ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

წინამდებარე დასკვნის მიზანია წარმოადგინოს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (ბნსუ) საავტორიზაციო შეფასების მთავარი მიგნებები. ბნსუ-ში განათლების ხარისხის შეფასება განხორციელდა უნივერსიტეტის მოთხოვნის საფუძველზე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, როგორც სამუშაო განრიგის შემადგენელი ნაწილი. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ამ უნივერსიტეტში საავტორიზაციო შეფასება მესამედ შეასრულა. ბნსუ ახალი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად პირველად შეფასდა.

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის არის -არა- საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთი ათწლეულია რაც უზრუნველყოფს საზღვაო განათლების მიღებას, ქალაქ ბათუმში. უნივერსიტეტი შეიქმნა 2008 წელს, 2013 წლიდან კი მას აქვს ავტორიზაცია, რათა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში სტუდენტებს მიაწოდოს განათლება.

დღეისათვის უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი: საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი და ლოჯისტიკის ფაკულტეტი. ისინი სტუდენტებს სთავაზობენ 5 პროგრამას: 4 საბაკალავრო პროგრამა - „გემის მექანიკა“, „საზღვაო ნავიგაცია“, „საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“, ერთობლივი ქართულ-უკრაინული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ და ერთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: „სატრანსპორტო ლოჯისტიკა“. სტუდენტთა უმრავლესობა იმ საზღვაო პროგრამებზე სწავლობს, რომლებიც ექვემდებარება „მეზღვაურთა გადამზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის საერთაშორისო კონვენციის სტანდარტების“ შესრულებას.

### საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ადგილზე ვიზიტი მომზადდა და განხორციელდა შესაბამისი პროცედურის დაცვით. ვიზიტი, შესაბამისი პროცედურის დაცვით განხორციელდა 2018 წლის 29-30 ნოემბერს. ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი თვითშეფასების ანგარიში. ვიზიტი ბნსუ-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრით დაიწყო.

შემდგომი ვიზიტი განხორციელდა შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის განმავლობაში შედგა შეხვედრები შემდეგ პირებთან: 1) თვითშეფასებისა და სტრატეგიული განვითარების გუნდთან; 2) აკადემიურ საბჭოსთან; 3) წარმომადგენლობით საბჭოსთან; 3) ბნსუ-ს ფაკულტეტების დეკანებთან ; 5) დეკანატებთან და სტუდენტთა რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახურთან; 6) იურიდიულ მომსახურებასთან და საფინანსო მომსახურებასთან; 7) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან და პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურთან და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან; 8) ბიბლიოთეკასთან, დაცვის სამსახურთან და სამეირნეო/ლოჯისტიკის სამსახურთან; 9) პროფესიული განათლების დეპარტამენტთან, ენების შემსწავლელ სკოლასთან, აბიტურიენტთა მომზადების ცენტრთან; 10) პროგრამების ხელმძღვანელებთან; 12) მოწვეულ სასწავლო პერსონალთან; 13) სტუდენტებთან; 14) სტუდენტურ თვითმმართველობასთან; 15) კურსდამთავრებულებთან; 16) დამსაქმებლებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. გარდა ამისა, ჯგუფმა განიხილა შერჩეული სადიპლომო ნაშრომები, დიდაქტიკურ პროცესში გამოყენებული დიდაქტიკური და სოციალური მონაცემთა ბაზები. და ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ბნსუ-ს მატერიალური რესურსები, მათ შორის სასწავლო-საწრთენელი გემი „ელიტა“-ც. ვიზიტი დასრულდა შემაჯამებელი შეხვედრით, რომლის დროსაც, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განიხილა და მოკლედ წარადგინა

უმადლესი განათლებისთვის ავტორიზაციის სტანდარტების შესრულება, კომენტარები, რეკომენდაციები და რჩევები.

### **უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის საავტორიზაციო შეფასება ახალი შვიდი სტანდარტის მიხედვით პირველად განახორციელა. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ს შესაბამისობა დაწესებული სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებთან, მტკიცებულებად გამოიყენა მისთვის მიწოდებული დოკუმენტები და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები გარე და შიდა დაინტერესებულ მხარეებთან.

საერთო ჯამში, ავტორიზაციის შეფასება ადასტურებს, რომ ბნსუ-ს შეუძლია მის მიერ გათვალისწინებული პროგრამების უზრუნველყოფა. ბნსუ-ს აქვს უნარი შეინარჩუნოს განათლების სათანადო კულტურა, განათლების ხარისხი, აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით გააჩნია საკმარისი რესურსი, ინფრასტრუქტურა და სასწავლო მასალები. უნივერსიტეტს გაეწია ინსტრუქტაჟი, რომ დიდი ყურადღება დაუთმოს ერთობლივ პროგრამებს. ბნსუ-მ წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი და გაწია ყველა საჭირო პროცედურა ექსპერტთა ჯგუფის წევრებისთვის, უნივერსიტეტის პერსონალს, სტუდენტებს და პარტნიორებს კარგად ჰქონდათ გააზრებული ავტორიზაციის მნიშვნელობა. მათი უმრავლესობა ჩართული იყო თვითშეფასების ანგარიშის შექმნის პროცესში და ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ პარალელურ ვიზიტში. შვიდი სტანდარტიდან სამი შეფასდა როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", სამი შეფასდა როგორც - "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" და ერთი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

## რეკომენდაციები

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა, რომელიც მოქმედებდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით, შეიმუშავა რეკომენდაციები ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი საქმიანობის კუთხით. უნივერსიტეტს ეძლევა რეკომენდაცია:

### 1. სტანდარტი 1:

- a. ინტერნაციონალიზაციის მისიის გაძლიერება განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.
- b. სამოქმედო გეგმა უნდა შემცირდეს რეალისტურ ზომებამდე და შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომ რესურსებს.

### 2. სტანდარტი 2:

- a. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეყოლება საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი და იმუშავებს მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
- b. ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩართული იქნება არა-დასაქმებული სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებაში ან ამ სერვისისთვის შეირჩეს არსებული თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული იქნება შესაბამისი ერთეულის დებულების მიხედვით.
- c. ბნსუ-ს მასშტაბით უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე.
- d. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემისთვის საჭიროა მეტი განვითარება PDCA ციკლის მიხედვით.
- e. მეტი განვითარებაა საჭირო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის კუთხით, გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლები/საჭიროებები მათი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და სწავლის სფეროს შესაბამისად.
- f. ბნსუ-მ უნდა გამოყოს საკმარისი ადამიანური და ინფორმაციული რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად.
- g. ბნსუ-მ უნდა გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფისა და QSM სერვისების მარეგულირებელ დოკუმენტებს, რათა თავიდან აიცილოს თანამშრომლების პასუხისმგებლობათა ურთიერთგადაკვეთა.
- h. უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები პლაგიატის აღმოსაჩენად.
- i. ყველა სტუდენტს მათი ჩარიცხვისთანავე უნდა მიეცეს მკაფიო დარიგება პლაგიატის თაობაზე. ბნსუ-მ ასევე, უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმებისა სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიატთან დაკავშირებით და მის შედეგებზე.
- j. ბნსუ-ს პლაგიატიზმის პროცედურები უნდა უყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენენ პლაგიატიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას.

### 3. სტანდარტი 3:

- a. გამოიყენეთ ეფექტური და მრავალფეროვანი მეთოდები, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარებისთვის სპეციალურად განსაზღვრული შეფასების სისტემის შესამუშავებლად.
- b. უფრო დეტალურად გაწერეთ შეფასების კრიტერიუმები, სადაც მითითებული იქნება აქტივობები და მათი შესაბამისი შეფასებები.

4. სტანდარტი 4:

- a. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უნდა შეასულოს აუცილებელი საქმიანობები პერსონალის შესაფასებლად და შედეგები წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა განიხილოს ხელმძღვანელობასთან, რომელიც მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს.
- b. ბნსუ-ს პედაგოგიური პერსონალის შესახებ სტუდენტების მოსაზრების მოსაპოვებლად, აკადემიური წლის დასასრულს უნდა შეგროვდეს სტუდენტების უკუკავშირი.
- c. უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს მოქმედი მეზღვაურები, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ თავის გამოცდილებას, გამოწვევებსა და მოწყობილობებს. ეს სტუდენტებისთვის მოტივაციის მიმცემი იქნება.
- d. ერთი თანამშრომელი მაინც უნდა აიყვანოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.

5. სტანდარტი 5:

- a. პრაქტიკისა და დასაქმები სამსახური ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბნსუ-ში მოქმედი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის.
- b. ბნსუ-მ უნდა შექმნას კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა და თვალი ადევნოს მათ კარიერას.

6. სტანდარტი 6:

- a. მონაწილეობის მიღება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში.
- b. კვლევის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და სასწავლო საქმიანობაში.
- c. ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამყარება მათთან კვლევითი მიღწევების გაზიარების მიზნით.
- d. კვლევითი სამუშაოების აქტიურად განხორციელება.
- e. პროფესიულ ფორუმებსა და ბლოგებში მონაწილეობის მიღება.
- f. კვლევით სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა.
- g. საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი საზოგადოებების ჩართვა.
- h. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების განვითარებაზე ზრუნვა და მათი მართვა.
- i. საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღება.
- j. საერთაშორისო დონეზე კვლევის მხარდაჭერა და ეფექტური სისტემის განვითარება.
- k. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ზრდა და მათი მხარდაჭერა.
- l. კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად ეფექტური სისტემის შექმნა.
- m. პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენება.
- n. კვლევით სამუშაოებსა და აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.
- o. ანგარიშების გამოქვეყნება განხორციელებული კვლევითი საქმიანობების შესახებ.
- p. კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმაში შეფასების შედეგების ასახვა.

7. სტანდარტი 7:

- a. სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოწერა უნდა მოხდეს უნივერსიტეტის პროფილის გათვალისწინებით.
- b. ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა ჩაატაროს რეგულარული ტრენინგები როგორც ფაკულტეტის წევრების, ასევე სტუდენტებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათ მიერ მონაცემთა ბაზების მოხმარებას.

- c. ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა განსაზღვროს თავისი როლი სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებში, აკადემიური ერთიანობის თვალსაზრისით.
- d. წიგნების განლაგება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა გაიზარდოს მათზე ხელმისაწვდომობა.
- e. ბიბლიოთეკის პერსონალმა მხარი უნდა დაუჭიროს ფაკულტეტის წევრებს რიდერების მომზადებაში, აუხსნას მათ ციტირებისა და რეფერირების მთავარი წესები.
- f. ბიბლიოთეკარებმა უნდა განაახლონ თავიანთი პროფესიული უნარები რეგულარულად, ეს შესაძლებელია მობილობის პროგრამებით, რომელთა განვითარებასაც უნივერსიტეტი უახლოეს წლებში გეგმავს.
- g. ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტიზირება უნდა მოხდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებით.

## რჩევები

ვიზიტის განმახორციელებელმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რჩევები ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის, მისი გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტს ვურჩევთ:

1. სტანდარტი 1:
  - a. გაზარდეთ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობა.
  - b. შეინარჩუნეთ ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადების პროცესში.
  - c. მონიტორინგი გაუწიეთ გარე სამიზნე ნიშნულებს, რადგან მათი მიღწევა შესაძლოა დამოკიდებული იყოს დამსაქმებლებთან ახლო თანამშრომლობაზე.
2. სტანდარტი 2: გაზარდეთ სამიზნე ქვეყნების არეალი.
3. სტანდარტი 3: პროგრამების განხორციელებისას გამოიყენეთ საერთაშორისო მიდგომები.
4. სტანდარტი 4: უზრუნველყავით მდგრადობა, ბნსუ-მ უნდა გააფართოოს/განავითაროს კვლევითი საქმიანობა.
5. სტანდარტი 7: სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის განიხილეთ საპირფარეოების მოწყობა.

## საუკეთესო პრაქტიკები

-

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.	<b>უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ს მისია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	<b>უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	<b>საგანმანათლებლო პროგრამები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	<b>უსდ-ის პერსონალი</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	<b>სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები</b>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	<b>კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა</b>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	<b>მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები</b>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. იანუს ურიასი (თავმჯდომარე)
2. ია მოსაშვილი (წევრი)
3. გიგა ხოსიტაშვილი (წევრი)
4. ნინო ამირანაშვილი (წევრი)
5. ნინო ორაგველიძე (შრომის ბაზრის ექსპერტი)

6. დავით ტეფნამე ( სტუდენტი ექსპერტი)

*დ. ტეფნამე*

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება**

**1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება**

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და ფართო საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

<p><b>1.1 უსდ-ის მისია</b></p> <p>უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა თავისი მისია. მისია გამოქვეყნებულია, შიდა და გარე დაინტერესებული პირები ინფორმირებულები არიან ბნსუს მისიის შესახებ. მისიის მთავარი მიზნები დაკონკრეტებულია. რეალურად, უნივერსიტეტი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს განათლებაზე, ცდილობს უზრუნველყოს საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისი განათლება, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან. მისი მოპოვება უნდა მოხდეს შეთავაზებული პროგრამებით, პროფესიონალური გადამზადების ცენტრითა და პროფესიული განათლებით. განათლების გასაძლიერებლად უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თავისი ინფრასტრუქტურის განვითარებას, განათლების მხარდამჭერი პოლიტიკის განხორციელებას, განათლებისათვის მიძღვნილი გარემოს შექმნას.</p> <p>რამდენადაც უნივერსიტეტი ძირითადად მოქმედებს საზღვაო სფეროში, მისიაში საზღვაო ასპექტები უფრო მეტად უნდა იყოს ხაზგასმული. საქმიანობის სფეროს მიხედვით უნივერსიტეტის სახელწოდებიდანაც კი შესაძლებელია - ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. მისიაში კი რთულად იძებნება საზღვაო ასპექტები. თუკი უნივერსიტეტი მხოლოდ განათლების მიმართულებით აპირებს საქმიანობის გაგრძელებას, მაშინ მისია არც თუ ისე ამბიციურია.</p> <p>თუმცა, მეორეს მხრივ, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლას. და ბოლოს, მოცემულია მხოლოდ ერთი ამბიციური მიზანი - „საზღვაო განათლების სფეროში ლიდერის იმიჯის მოპოვება საერთაშორისო, განსაკუთრებით შავის ზღვისა და კავკასიის რეგიონის, დონეზე.“</p> <p>უნივერსიტეტს საკმარისი მოცულობა აქვს ადამიანური და ტექნიკური რესურსების თვალსაზრისით საიმისოდ, რომ ბაკალავრიატის საფეხურის განათლების მიმწოდებლის როლი კარგად შეასრულოს. ამ გადმოსახედიდან, რეგიონისა და ქვეყნის გარეთ გასვლის გეგმა, ამ ეტაპზე, ზედმეტად ხელოვნური ჩანს.</p> <p>საერთაშორისო საგანმანათლებლო ინდუსტრიასთან ინტეგრირებული, კონკურენტუნარიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების გეგმა და კონკრეტული ადგილის დამკვიდრება საჭიროებს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებას, გარე დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დანერგვას (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების) ან განათლებაში უცხო ენის შემოტანას (ძირითადად ინგლისური), შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების მეტნაკლებად მაღალი მაჩვენებლის შემცირებას, ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესახებ ნაკისრი ინიციატივის გონივრულ განვითარებას, მდგრადობის ზრდას ადამიანური რესურსების სამომავლო პერსპექტივებისთვის,</p>



<p>სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობის გაზრდას, საერთაშორისო კონტაქტებისა და ოფიციალური ხელშეკრულებების განახლებას, მისი საქმიანობის რეგიონში (შავი ზღვა) პროგრამების აღიარების მოპოვებას, ნაცვლად იმისა რომ საზღვრებს გარე აღიარების გარეშე იყოს.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ბნსუ-ს კურსდამთავრებულების უმრავლესობა სამსახურს სწორედ საერთაშორისო საზღვაო ბაზარზე პოულობს. ამის გამო, ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სტანდარტების (STCW) შესრულება, ბნსუ-ს მისიის მთავარ ასპექტს უნდა წარმოადგენდეს.</p>
<p><b>მტკიცებულებები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბნსუ-ს მისია</li> <li>2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი</li> <li>3. ინტერვიუები შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>ინტერნაციონალიზაციის მისიის გაძლიერება, განსაზღვრული მიზნების შესაბამისად.</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>გაზარდეთ სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობა.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>1.2 სტრატეგიული განვითარება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).</li> <li>○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.</li> <li>○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეადგინა თავისი სტრატეგიული განვითარების გეგმა. გეგმა განისაზღვრა 2019-2024 წლებისთვის. წინა გეგმის ამოწურვის თარიღად განსაზღვრული იყო 2018. გეგმა ორ ეტაპად იყო გაყოფილი 2013-2015 და 2016-2018.</p> <p>სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა უნივერსიტეტის რესურსებისა და პოტენციალის გათვალისწინებით. გეგმა უმეტესად წარმოადგენს ხელმძღვანელობის განზრახვების დემონსტრაციას. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისას, გამოიყენეს თანმიმდევრული მიდგომა, თუმცა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა გადამწყვეტია და უნივერსიტეტმა ყოველთვის უნდა სცადოს ამ უპირატესობის გამოყენება. უნივერსიტეტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კარგი თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოტალიბება კარგი იქნება. უცნობია ამჟამად დასასრულს მყოფი გეგმის გამოცდილება ან მისი ასახვა თუ იყო წარმოდგენილი ახალ გეგმაში. უნივერსიტეტმა განსაზღვრა, რომ ზოგიერთი სამიზნე ნიშნულის მიღწევა უნდა მოხდეს სტუდენტთა ჩარიცხვასთან, აკადემიური პერსონალის მაჩვენებელთან, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის, ასევე სამეცნიერო პედაგოგების მაჩვენებლებთან დაკავშირებით, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გათვალისწინებით და სხვა. ჩვენ</p>

შეგვიძლია ვაღიაროთ სამიზნე ნიშნულების ორი ჯგუფი: შიდა და გარე. შიდა სამიზნე ნიშნულების მიღწევა შესაძლებელია თავად უნივერსიტეტის საქმიანობით.

თუმცა, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუ როგორ მოხდება მათი მიღწევა, მაგალითად საზომის დაწევით თუ გამომთვლელის გაზრდით. თუმცა, მხოლოდ წილადებზე, თანფარდობაზე და რიცხვებზე დაკვირვება არ არის საკმარისი პერსონალთან მიმართებაში, რადგან ხარისხი, კომპეტენციები, მდგრადობა და თუნდაც მცირე კვლევების ჩატარების უნარი შეიძლება დაიკარგოს ამ პროცესში და მიზნების მიღწევა ვეღარ მოხდეს.

განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც არცერთ აკადემიკოსს არ აქვს დაგეგმილი დოქტორის ხარისხის მოპოვება 2024 წლისთვის. რაც შეეხება გარე სამიზნე ნიშნულებს, უნივერსიტეტს მათზე დაკვირვება შეუძლია მისი კურსდამთავრებულების დასაქმების კუთხით. ასეთი მაჩვენებლის გასაზრდელად საჭიროა დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაფართოება. გარკვეული პირველი ნაბიჯები ამ კუთხით უკვე გადაიდგა, თუცა პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური არ ეკუთვნის შიდა სტრუქტურას, მიუხედავად ამის გამოცხადებისა. იგი არ ზრუნავს ბნსუ-ს ყველა სტუდენტზე, არამედ მხოლოდ შერჩეულზე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის შესახებ ინფორმირებულობა ბნსუ-ს შიდა საზოგადოების დონეზე, დაბალია.

უნივერსიტეტმა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები შეაფასა SWOT ანალიზის მეთოდით. SWOT ანალიზი სასარგებლოა განვითარების გეგმის წარმატებით მისაღწევად. ეს ქმნის ურთიერთდამაკავშირებელ მიდგომას. თუმცა, ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების წარმოდგენილი ანალიზი შედგება ისეთი ფაქტებისგან, როგორებიცაა „ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი დონე“ ან „დადებითი გარემო“, უნივერსიტეტმა უმჯობესია მიაგნოს ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი დონის გამომწვევ მიზეზებს და სცადოს გაუმკლავდეს საფრთხეებს. უმჯობესი იქნებოდა თუკი შეფასდებოდა და წარმოდგენილი იქნებოდა შესაძლო მიღწევები, აღნიშნული (დადებითი) ფაქტების გამოყენება ან (ნეგატიური) ფაქტების თავიდან აცილებისა და პრევენციის გზები.

შესაბამისად, ისე ჩანს, რომ სტრატეგიის დაგეგმვის მეთოდოლოგია ჩასწორებას საჭიროებს. უნივერსიტეტმა სამოქმედო გეგმის პირველ ეტაპად განსაზღვრა 2019-2021 წლების პერიოდი. ამ სამწლიან გეგმას აქვს 9 მთავარი პუნქტი, განსაზღვრული მიზნებით, დავალებებით, მისაღები ზომებით, შესაძლო შედეგებით და სამიზნე ნიშნულებით. ეს სამოქმედო გეგმა ძალიან ამბიციურია. მაგალითად, მესამე პუნქტი. საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა შემდეგი მიზნით: საუკეთესო პრაქტიკებისა და ექსპერტიზის გაზიარება და საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის სტაჟირება/დასაქმების მხარდაჭერა, საერთაშორისო სამეცნიერო, სამრეწველო და საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება და ბნსუ-ს პოპულარიზაცია. ამ სიღრმისეული მიზნების მიღწევა რთული იქნება მხოლოდ სამ წელში, როდესაც მხოლოდ 22 აფილირებული პერსონალია, რომელთაც ფაქტიურად საერთოდ არ შეუძლიათ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღება მათი ასაკის, სამუშაო დატვირთვის და ენობრივი უნარების გამო.

სტრატეგიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფილია საკმარისი ფინანსური რესურსებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა
2. განვითარების სტრატეგია
3. სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპი 2019-2021
4. შიდა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა
5. ფინანსური გეგმა
6. SWOT ანალიზი

**რეკომენდაციები:**

სამოქმედო გეგმა უნდა შემცირდეს რეალისტურ ზომებამდე და შეესაბამებოდეს ხელმისაწვდომ რესურსებს.
<b>რჩევები:</b> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საჭიროა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირების აქტიური ჩართულობა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში.</li> <li>2. უნივერსიტეტმა აქტიური მონიტორინგი უნდა გაუწიოს გარე სამიზნე ნიშნულებს, რადგან მათი მიღწევა შესაძლოა დამოკიდებული იყოს დამსაქმებლებთან ახლო თანამშრომლობაზე.</li> </ol>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</li> </ul>

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<b>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას</li> <li>○ უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი.</li> <li>○ უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან მართვას.</li> <li>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.</li> </ul>

### სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი ქმედებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტის სტრუქტურა განახლდა 2017 წლის დეკემბერში, როდესაც დაინერგა პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების სტაჟირებას სწავლის პორცესში და სწავლის დასრულების შემდეგ მათ დასაქმებას. უნივერსიტეტს სტრუქტურული ერთეულის ყველა ფუნქცია განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს დებულებებზე და მისი ფუნქციების შესრულება მოწმდება წლიური შიდა აუდიტის დროს. თუმცა, შეინიშნა მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების არასრულყოფილი აღქმა, რადგან ამ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი ერთადერთი თანამშრომელი მიიჩნევენ, რომ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მხოლოდ საზღვაო ფაკულტეტის სტუდენტებზე ვრცელდება, თუმცა დებულების თანახმად, იგი შეეხება ყველა სტუდენტს.

ბნსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სამიზნე ქვეყნები არიან პოსტ-საბჭოთა და სოციალისტური ქვეყნები. ნებისმიერ შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეული ისეთი სერიოზული მიზნების

მისაღწევად, როგორებიცაა ინტერნაციონალიზაცია და უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების განხორციელება, არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის დონე არ არის საკმარისი ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი კერძო დაწესებულებაა, მისი მმართველი ორგანო არის პარტნიორთა საბჭო, რომელიც ნიშნავს რექტორსა და კანცლერს, ისინი არიან ბნსუ-ს მფლობელები, თმცა მენეჯერების, მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნის, შერჩევა/დანიშვნის პროცედურებისა და მოთხოვნების დადგენასა და დატმკიცებაში, ისინი გამჭვირვალეები არიან და შეესაბამებიან უნივერსიტეტის რეგულაციებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი ორგანო ძირითადად უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას, რომლისთვისაც, სხვა ზომებთან ერთად, მან დანერგა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს და უზრუნველყოფს განათლების ხარისხის მართვის შესაბამისობისა და უზრუნველყოფის სისტემას, ისევე როგორც ISO 9001: 2015 სტანდარტის მოთხოვნებს.

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მენეჯმენტი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონულ სისტემას, როგორცაა bntu.ini.ge, ეს უზრუნველყოფს სწავლების სისტემის და კომუნიკაციის ელექტრონული მართვის პროცესს. უნივერსიტეტმა შეიმუშავა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომელიც მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, განსახორციელებელ ზომებს, მოსალოდნელ შედეგებს, მთავარ სამიზნე ნიშნულებს და რესურსებს იმისათვის რომ განვითარდეს უნივერსიტეტის ყველა სფერო. ბიზნეს უწყვეტობის ეფექტურობისთვის, უნივერსიტეტი იყენებს ანალიზს, რომელიც ასახავს ბნსუ-ს ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, გარე ფაქტორების გათვალისწინებით. უნივერსიტეტი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე, ინგლისური და რუსულ ენოვანი პროგრამების განხორციელებაზე, ასევე სტუდენტური გაცვლითი პროგრამების დანერგვაზე, რაც მას დაეხმარება სასურველი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო საზღვაო-საგანმანათლებლო სივრცეში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბნსუ-ს სტრუქტურა.
2. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.
3. მართვის ეფექტურობის მექანიზმები.
4. ბიზნეს უწყვეტობის პროცესების გეგმა
5. ბნსუ-ს მენეჯმენტთან და სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შექმნას სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ეყოლება საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი და იმუშავებს მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
2. ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს კიდევ ერთი თანამშრომელი, რომელიც ჩართული იქნება არა-დასაქმებული სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებაში ან ამ სერვისისთვის შეირჩეს არსებული თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რომელიც დაკისრებული ექნება შესაბამისი ერთეულის დებულების მიხედვით.
3. ბნსუ-ს მასშტაბით უნდა გაუმჯობესდეს ინგლისური ენის ცოდნის დონე.

**რჩევები:**

გაზარდეთ სამიზნე ქვეყნების არეალი.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები**

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბნსუ-ს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების და სისტემის განვითარების ეფექტური განხორციელებისა და გამოყენებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და სწავლის პროცესების ხარისხზე, ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია ორგანიზაციულის სისტემის განახლებაზე და ეფექტურობის შენარჩუნებაზე ISO სტანდარტის შესაბამისად (ბნსუ ფლობს ISO ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერთიფიკატს: ISO 9001:2000. IQ-Net ISO 9001:2008. IQ-Net; ISO 9001:2015, IQ-Net). ისინი მოქმედებენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციებისა და ხარისხის სისტემის მართვის სამსახურის რეგულაციების შესაბამისად. ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ხარისხის მენეჯერის როლები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუმცა გვხვდება მათი პერსონალის პასუხისმგებლობათა რამდენიმე გადაკვეთა. თუკი ბნსუ გეგმავს ზემოთ ხსენებულ დეპარტამენტებში თანამშრომლების რაოდენობის გაზრდას, რეკომენდებულია გადახედოს მარეგულირებელ დოკუმენტებს ამ კუთხით.

2017 წლამდე, ორგანიზაციული მართვისა და საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება ერთმანეთთან მცირედით იყო დაკავშირებული. 2018 წლიდან ბნსუ-მ დანერგა „განაღების ხარისხის მართვისა და უზრუნველყოფის“ ახალი წესი, ერთიანი სისტემის შესაქმნელად. ზემოთ ხსენებული დოკუმენტი არეგულირებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ყველა ასპექტს და ხელს უწყობს შესაბამისი რესურსების მობილიზებას.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ბოლო დროს შექმნილი რამდენიმე ერთეული არ მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებაში (მაგალითად პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური) და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა საჭიროებს შემდგომ განვითარებას PDCA ციკლის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შენიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური განხორციელებისთვის, ბნსუ-ს სჭირდება მეტი ადამიანური და ინფორმაციული რესურსის გამოყოფა (მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა და ინტერნეტ სისტემის შემუშავება გამოკითხვებისთვის).

ბნსუ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. ეს მექანიზმები აღწერილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებაში. აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში. ცოტა ხნის წინ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა სტუდენტთა აკადემიური

მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები (რეიტინგის სისტემა), და მის შედეგებს გამოიყენებს სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების საქმიანობას და რესურსებს აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წელიწადში ორჯერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სხვადასხვა კვლევებს, წინასწარ შემუშავებული წერილობითი გამოკითხვების საფუძველზე. ამ გამოკითხვების შედეგები აღწერილია წლიურ ანდაგირში და მისი გაცნობა ხდება ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან და ბნსუ-ს სტუდენტებთან, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს. სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სტუდენტთა კითხვარები ვრცელდება შუალედური გამოცდების პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს გავლენას მოახდენს გამოკითხვის შედეგების საფუძვლიანობაზე. შეფასება ტარდება PDCA ციკლის მიხედვით და დაწესებულების ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებებს იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე. თუმცა, 2018 წლისთვის დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა არ იყო შესრულებული ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდისთვის.

ბნსუ-მ შეიმუშავა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მათემატიკური მეთოდი, რომელიც ამოქმედდება 2019 წლიდან. ზემოთ ხსენებული მოდელი აღწერილია ბნსუ-ს განვითარების სტრატეგიაში (2019-2025) და წარმოადგენს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის ნაწილს, რომელიც მოიცავს შესაბამის მაჩვენებლებსა და სამიზნე ნიშნულებს. თუმცა, მეთოდოლოგია უფრო ზოგადია და არ ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლებს/საჭიროებებს სწავლების საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) შესაბამისად.

ეს მიდგომა, სამომავლოდ, უნდა შეფასდეს შიდა და გარე დონეზე.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხელსაწყოები.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები, დავალებები და ფუნქციები
3. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება.
4. რეიტინგული სისტემა
5. გამოკითხვის შედეგები;
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები.
7. თვითშეფასების ანგარიში;
8. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
9. გასაუბრების შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

1. აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემისთვის საჭიროა მეტი განვითარება PDCA ციკლის მიხედვით.
2. მეტი განვითარებაა საჭირო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის კუთხით, გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლები/საჭიროებები მათი საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და სასწავლო სფეროს შესაბამისად.
3. ბნსუ-მ უნდა გამოყოს საკმარისი ადამიანური და ინფორმაციული რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურად განსახორციელებლად (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა და ინტერნეტ გამოკითხვის სისტემის შემუშავება).
4. ბნსუ-მ უნდა გადახედოს ხარისხის უზრუნველყოფისა და QSM სერვისების მარეგულირებელ დოკუმენტებს, რათა თავიდან აიცილოს მათი პერსონალის პასუხისმგებლობათა ურთიერთგადაკვეთა.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.</li> <li>○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატიზმის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.</li> <li>○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა: შიდა რეგულაციები და ეთიკისა და ქცევის წესები, რომლებიც არეგულირებენ უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მუშაობას, რაც ხელს უწყობს სწავლა/სწავლების და ორგანიზაციული პროცესების ეფექტურ მართვას. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისთვის, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური ვერსიით. ამასთან ერთად, უნივერსიტეტში დანერგილი ხარისხის მართვის პროცედურების თანახმად, სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი წარედგინება ყველა თანამშრომელს და ისინი მას ამოქმედებენ ხელმოწერით, დოკუმენტის შესაბამის გვერდზე.</p> <p>უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც ასახავს აკადემიური ეთიკის კოდექსისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულებას. იგი სავალდებულოა სამეცნიერო კვლევასა და/ან კვლევითი სამუშაოს შეფასებაში ჩართული ყველა პირისთვის. იგი მოიცავს იმ ზომებს, რომლებიც უნდა გატარდეს პლაგიატის შემთხვევაში. თუმცა, უნივერსიტეტს არ აქვს პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი, გარდა იმისა, რომ მკვლევარი იღებს ინფორმაციას იმ ვალდებულებების შესახებ, რომ დაცული უნდა იყოს აკადემიური ეთიკის კოდექსი და აკადემიური კეთილსინდისიერება და ამოწმებს ამას ხელმოწერით. ბნსუ-ს თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი გეგმავს რომ შეიძინოს და განახორციელოს პლაგიატის აღმოჩენის ცომპიუტერული პროგრამა ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ამ მოვლენას.</p> <p>პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ ეთიკის კოდექსის გაცნობა არ ხდება სტუდენტებისთვის, მათი ინსტრუქტაჟის დროს. პლაგიატისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ ინფორმაცია აკადემიური პროგრამების სილაბუსებში არ არის შეტანილი. ასევე აღინიშნა, რომ ბნსუ-ს პერსონალსა და სტუდენტებში არ შეინიშნება პლაგიატის აღმოჩენისა და მოქმედი პროცედურებით მისი გამოძიების შემთხვევები.</p> <p>უნივერსიტეტი ინარჩუნებს პერსონალის აკადემიურ თავისუფლებას, რაც აღწერილია „პერსონალის მართვის პოლიტიკაში/რეგულაციებში“ ისევე როგორც მათი სამუშაოს აღწერაში. ეს დაადასტურეს აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ინტერვიუების დროს, მათ ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გაწეულ დახმარებას აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ხელშეწყობაში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შინაგანაწესი</li> <li>2. ეთიკის კოდექსი; აკადემიური ეთიკის კოდექსი</li> <li>3. ეთიკისა და ქცევის წესების დაცვის ვალდებულებები.</li> </ol>

<p>4. პერსონალის მართვის პოლიტიკა/რეგულაციები.</p> <p>5. ინტერვიუები ბნსუ-ს პერსონალთან და სტუდენტებთან</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მექანიზმები პლაგიატის აღმოსაჩენად (მაგ.: პლაგიატის აღმოჩენის კომპიუტერული პროგრამა).</li> <li>2. ყველა სტუდენტს მათი ჩარიცხვისთანავე უნდა მიეცეს მკაფიო დარიგება პლაგიატის თაობაზე. ბნსუ-მ, ასევე, უნდა მიიღოს რიგი ალტერნატიული მექანიზმებისა სტუდენტთა ინფორმირებისათვის ინსტიტუციის პოლიტიკაზე პლაგიატთან დაკავშირებით და მის შედეგებზე.</li> <li>3. ბნსუ-ს პლაგიატიზმის პროცედურები უნდა უყოს მკაცრად კონტროლირებადი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი წარმოადგენენ პლაგიატიზმის გამოვლენისა და აღკვეთის აქტიურ და ეფექტიან საშუალებას.</li> </ol>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

### 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</b></p>
<p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ბნსუ-მ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს გადაუგზავნა, არის კარგად ორგანიზებული. ბნსუ-ში ექსპერტთა ვიზიტის დროს, მათ შეამოწმეს ყველა აქტივობა, რომელიც განკუთვნილია საგანმანათლებლო პროგრამების აგებასა და შემუშავებაში, რომელთაც ახორციელებს ფაკულტეტი. ბნსუ-ს აქვს პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, დამტკიცების, შემუშავებისა და გაუქმებისათვის. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. ბნსუ-ს აქვს შემდეგი პროგრამები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები: საზღვაო ნავიგაცია, გემის მექანიკა, გემის ენერგეტიკული დანადგარები (ერთობლივი პროგრამა); სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - ლოჯისტიკაში. საგანმანათლებლო პროგრამებს ხელმძღვანელობენ პროგრამის ხელმძღვანელები სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები), რომლებიც ჩართული არიან პროგრამების შემუშავებისა და</p>



განხორციელების პროცესში. მათ მიერ წარმოდგენილი ერთ-ერთი პროგრამა წარმოადგენს ერთობლივ პროგრამას ჩერნიგოვის ეროვნულ ტექნიკურ უნივერსიტეტთან, უკრაინაში. რამდენადაც უნივერსიტეტს მხოლოდ ერთი საერთაშორისო სტუდენტი ჰყავს, რომელიც ქართული ენის უნარებს ფლობს, სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს პროგრამის განხორციელებასა და ცვლილებებს. პროგრამაში ბოლო ცვლილება შევიდა 2018 წელს. პერსონალი კვალიფიციური და გამოცდილია და მათი გუნდური მუშაობის უნარები ასევე შესამჩნევია.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა დამსაქმებლებს. მათ აღნიშნეს, რომ ისინი არ იყვნენ სრულყოფილად ჩაბმული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაში, განხორციელებასა და განვითარებაში. მათი მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულებამ ლოჯისტიკის საბაკალავრო პროგრამაში ჩაამატა შემდეგი ენები: ინგლისური, თურქული და რუსული. ამასთან ერთად, ბოლო 5 წლის განმავლობაში, ისინი პერიოდულად აფასებდნენ პროგრამის შინაარსს, ამოცანებსა და სწავლის შედეგებს გამოკითხვების მეშვეობით, რომლებიც შემუშავდა ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ცოტა ხნის წინ, მათ მხოლოდ ერთხელ შეავსეს გამოკითხვა, რომელიც შეეხებოდა ურთიერთობას მათ კომპანიასა და უნივერსიტეტს შორის. დამსაქმებლები აღიარებენ უნივერსიტეტის მისიას და ისინი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში. ისინი სტუდენტებს აძლევენ ზღვაში 6 თვიანი პრაქტიკის გავლის შესაძლებლობას; დამსაქმებლებმა ასევე დაადასტურეს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია და მათი წვლილი ამ საქმეში დიდია.

ბნსუ-ში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს და მათ თვითმმართველობას, ასევე კურსდამთავრებულებს. თითოეულმა მათგანმა დაადასტურა, რომ ისინი იცნობენ უნივერსიტეტის მისიას და რომ მონაწილეობენ გამოკითხვებში, რომელთაც ორგანიზებას უწევს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვები შეეხება სტუდენტთა კმაყოფილებას საგანმანათლებლო პროგრამებით, ისინი მოიცავს კითხვებს ბნსუ-ში საგანმანათლებლო პროცესის, გარემოს, განათლების ხარისხისა და ბიბლიოთეკის შესაფასებლად.

პროგრამების შეცვლის/გაუქმების შემთხვევებში, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა უპრობლემოდ დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა. ეს ნათელი გახდა დეკანებთან და დეკანატებთან ინტერვიუებისას, ასევე სტუდენტების რეგისტრაციის, შეფასებისა და მონიტორინგის სამსახურის პერსონალთან შეხვედრისას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბნსუ-ს მისია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების რეგულაციები.
3. ინდივიდუალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების წესები.
4. პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
5. კურიკულუმისა და სილაბუსების დამოწმების ფორმები.
6. სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, განმახორციელებლების კითხვარები და მათი ანალიზი.
7. მატერიალები, რომლებიც ასახავენ/ამტკიცებენ პოტენციური დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობას პროგრამის შემოქმედებაში.

**რეკომენდაციები:**

<p><b>რჩევები:</b></p> <p>პროგრამების განხორციელებისას გამოიყენეთ საერთაშორისო მიდგომები.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</li> <li>○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და პროგრამის მახასიათებლებს. საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ( მეზღვაურთა გადამზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის საერთაშორისო კონვენციის სტანდარტები, 1978/95, შესწორებული 2010 წელს) სავალდებულო დოკუმენტების თანახმად, საზღვაო დარგის პროგრამებში სწავლება მოითხოვს ჯანრმთელობის შესაბამის მდგომარეობას, რაც აუცილებელია კონკრეტული პროგრამის კომპონენტების სასწავლად და დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად. ბნსუ იცავს ამ სტანდარტს საზღვაო სპეციალობებისთვის.</p> <p>ასევე, საქართველოს კანონის თანახმად, მათი საბაკალავრო პროგრამები შედგება აკადემიური კომპონენტებისგან, ძირითადი სპეციალობისა და თავისუფალი კომპონენტებისგან, სავალდებულო და არჩევითი საგნებით. სამაგისტრო პროგრამა შედგება აკადემიური და კვლევითი კომპონენტებისგან, რასაც წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომი.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის სწავლება ხორციელდება კურიკულუმისა და პროგრამის კომპონენტის - სილაბუსების შესაბამისად. ყველა სილაბუსი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. საგნების წინაპირობები კარგად არის განსაზღვრული და საგნების შედეგები წარმოადგენს პროგრამის შედეგების, ასევე საგნის ამოცანების ნაწილს, რაც მონაწილეობას იღებს პროგრამის მიზნების მიღწევაში.</p> <p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები სრულად შესაბამისობაშია სტუდენტთა საგანმანათლებლო საჭიროებებთან. ICT ხელსაწყოები ინტენსიურად გამოიყენება სწავლებისა და სწავლის პროცესებში, ისინი ასევე ძალიან ეფექტურად იყენებენ ელექტრონული სწავლების მასალებსაც.</p> <p>სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ პროგრამის შედეგებისა და ამოცანების ფორმირებაში ბნსუ-ს მიერ ორგანიზებული გამოკითხვების მეშვეობით, თუმცა ამის მიუხედავად, რამდენიმე რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მათ არ იცოდნენ ამ გამოკითხვების შედეგები.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბნსუ-ს ვებ-გვერდზე: <a href="http://bntu.edu.ge/en/swavla/saganmanatleblo-programebis-katalogi">http://bntu.edu.ge/en/swavla/saganmanatleblo-programebis-katalogi</a>.</p> <p>ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების დახმარებით, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებს და აკადემიურ მოსწრებას, და უზრუნველყოფს განათლების პროცესში მათ შეუფერხებელ ჩართულობას. ზღვაში პრაქტიკის</p>

პერიოდში, სტუდენტები საჭიროებენ ინდივიდუალურ პროგრამას, რასაც ბნსუ უზრუნველყოფს.

„გემის ენერგეტიკული დანადგარების“ ერთობლივი პროგრამისთვის, პროგრამის სტრუქტურა ასევე კარგად არის ფორმულირებული. ECST კრედიტების საერთო რაოდენობა შეადგენს 250-ს, სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, საბაკალავრო პროგრამების კრედიტების მოცულობა არის 240 და სამაგისტროსი 120 (ეს მოიცავს კვლევით კომპონენტსაც). საზღვაო პროგრამები შეიცავს პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს სასწავლო ხომალდზე, როგორც მიღებული საზღვაო სამსახური. სავალდებულო პრაქტიკა, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილია, მოიცავს 30 ECTS კრედიტს (ზღვაში გასვლითი სამსახურის 6 თვის ტოლფასი) და ხორციელდება გემზე. ბნსუ აქვს საკუთარი სასწავლო გემი „ელიტა“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
2. ბნსუ-ს მისია.
3. პროგრამების დამტკიცების აქტი.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების რეგულაციები.
5. ინდივიდუალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების წესები.
6. სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი.
7. მასალები, რომლებიც ასახავს/ამტკიცებს პროგრამების საჯარო შემოწმებას.
8. პროგრამის კატალოგი
9. ბნსუ-ს ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**3.3 სწავლის შედეგების შეფასება**

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-ს პროგრამის შემუშავების და განხორციელების რეგულაციების თანახმად, ბნსუ-ს პროგრამების მეთოდების ფორმირება და კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების შეფასება, ასახულია სწავლის შედეგების შეფასებაში. მოცემული პროცედურები რეგულარულად განახლებადია, ამისათვის გამოიყენება სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები.

ბნსუ-ს მიერ სტუდენტთა შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N3 ბრძანების საფუძველზე, რომელიც შეეხება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშების წესს. არსებობს აკადემიური კომპონენტების შეფასების ორი ფორმა - მუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 კრედიტი) და დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 კრედიტი) შეფასების კრიტერიუმები და მათი შესაბამისი ქულები კონკრეტულად დეტალებში გაწერილი არ არის. რაც შეეხება შეფასების სისტემას, მაქსიმალური ქულა არის 100, კარგი ქულები მერყეობს 51-დან 100 ქულამდე (ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არასაკმარისი შეფასება) და უარყოფითი ქულებია 0-დან 50-მდე (ვერ ჩააბარა, ჩაიჭრა). თუკი სტუდენტები არ ეთანხმებიან მიღებულ შეფასებას, უკმაყოფილო სტუდენტები სპონტანურად მიმართავენ დეკანს, რომელიც მოქმედებს დამკვიდრებული პრაქტიკისა და ზოგადი კანონმდებლობის საფუძველზე. ბნსუ-ს შიდა რეგულაციების თანახმად, სტუდენტების საჩივარი უნდა შეისწავლოს დეკანმა და შემფასებელმა. თუკი სტუდენტის საჩივარი გონივრულია, ხელახლა შემოწმდება საგამოცდო ნაწერი. სტუდენტებთან, დეკანებთან, დეკანების მდივნებთან და პროფესორებთან გასაუბრებისას, ექსპერტთა ჯგუფმა დასვნი კითხვები. თითოეულმა მათგანმა (სტუდენტებმა, დეკანმა, დეკანების მდივნებმა და პროფესორებმა) დეტალურად აღწერა ზემოთ ხსენებული პროცესი, თუმცა წარმოდგენილ სტუდენტებს აღნიშნული პრობლემები აქამდე არ შექმნიათ, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ბნსუ-ში არის ძალიან ტიპური თითოეული საგნისთვის. პრაქტიკული და კოგნიტური ცოდნის შესაფასებლად იდენტური მიდგომები გამოიყენება.

ბნსუ-ს აქვს ისეთი ელექტრონული სერვისი, როგორცაა ელექტრონული ჟურნალი. იგი შეიცავს ინფორმაციას სასწავლო კომპონენტებზე, მის შინაარსზე, ამოცანებზე, მეთოდებზე, შეფასების წესზე (სილაბუსებში), პედაგოგის განმარტებებზე (მაგ.: აკადემიური ან მოწვეული პერსონალი), გამოკითხვებზე და სასწავლო პროცესისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას. სტუდენტებს აქვთ ამ სისტემაზე წვდომა. სისტემაში შესვლა ხდება ინდივიდუალურად, პირადი მონაცემებისა და პაროლის გამოყენებით. ეს სისტემა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს ინფორმაცია დროულად და რეაგირება მოახდინოს შესაბამისად.

პრაქტიკის პერიოდში, სტუდენტებს აქვთ თავიანთი ჟურნალები, სადაც პრაქტიკის ზედამხედველი ამოწმებს ყველა აქტივობას, რომელთაც სტუდენტები ახორციელებენ პრაქტიკის დროს. დადასტურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დავალება სათანადოდ არის შესრულებული ან სტუდენტი ახდენს კონკრეტული დავალების შესრულების შესაძლებლობის დემონსტრაციას.

სტუდენტთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების საფუძველზე, შეფასების შესაბამისი ფორმები და ფორმატები შეირჩევა, თუმცა ესენი არ წარმოადგენს არაგონივრულ სპეციალურ პრივილეგიას სტუდენტებისთვის, კერძოდ, როდესაც სტუდენტები მოკლე პერიოდის განმავლობაში ზღვაში პრაქტიკას გადიან, ბნსუ მათ უქმნის სპეციალურ პირობებს, მაგალითად აძლევს გამოცდის გადადების ან წინასწარ ჩაბარების საშუალებას, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს სწავლის საფასურზე ან სხვა გარემოებებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების რეგულაციები.
3. ინდივიდუალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განხორციელების წესები.
4. კომპეტენციებისა და სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდები.
5. ბნსუ-ს რეიტინგული სისტემა.
6. მთავარი საგანმანათლებლო ერთეულის -ფაკულტეტის რეგულაციები.

<p>7. ბნსუ-ს შიდა რეგულაციები</p> <p>8. გამოკითხვის შედეგები; ანალიზის საფუძველზე შეტანილი ცვლილებები.</p> <p>9. ბნსუ-ს ვებ-გვერდი</p> <p>10. ელექტრონული პორტალი.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>1. გამოიყენეთ ეფექტური და მრავალფეროვანი მეთოდები, შემცნებითი და პრაქტიკული უნარებისთვის სპეციალურად განსაზღვრული შეფასების სისტემის შესამუშავებლად.</p> <p>2. უფრო დეტალურად გაწერეთ შეფასების კრიტერიუმები, სადაც მითითებული იქნება აქტივობები და მათი შესაბამისი შეფასებები.</p>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

#### 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<p><b>4.1. პერსონალის მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.</li> <li>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა განვითარების პერსონალის მართვის სისტემის კონცეფცია, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის (2019-2025) დანართ 1-ს.</p> <p>დოკუმენტი მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებს, პრიორიტეტებსა და მისი განვითარების ამოცანებს, რესურსებს განვითარებისთვის, პასუხისმგებლობებს, მონიტორინგსა და დასაქმების, გადამზადების, სტაჟირების, მოტივირებისა და წახალისების წესებს. ამგვარად, პერსონალის შეფასების მსგავსი აქტივობა, არ წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციას, არამედ ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ასევე აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში მხოლოდ ერთი თანამშრომელია და იგი პარალელურად ასრულებს კანცელარიის ფუნქციებს.</p> <p>უნივერსიტეტის მმართველი ორგანო ყურადღებას ამახვილებს არსებული პერსონალის შენარჩუნებასა და განვითარებაზე, ასევე ახალი პერსონალის მოზიდვაზე, რაც გადამწყვეტია მდგრადობის უზრუნველსაყოფად.</p>

შენიშნება კონკრეტული საზღვაო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ნაკლებობა, როგორცაა მაგალითად საზღვაო ნავიგაცია და გემის მექანიკა. ეს პროგრამები ხორციელდება ძალიან გამოცდილი პროფესიონალი მეზღვაურებისა და უფროსი მექანიკოსების მიერ, რომელთაც დიდი ცოდნა აქვთ, თუმცა რამდენადაც საზღვაო ინდუსტრია სწრაფად ვითარდება, საჭიროა პროგრამის განვითარებასა და ლექციებში მოქმედი მეზღვაურების აქტიური მონაწილეობა.

უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალი დაასაქმა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია თანმიმდევრულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი კვალიფიკაციების მოთხოვნებთან, რომლებიც ასევე შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ბნსუ-სთან აფილირებულ პერსონალად შეერთებაზე უარის მთავარი მიზეზი არის კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობის ნაკლებობა. ეს შემაფერხებელი პირობაა უნივერსიტეტის მდგრადობის შესანარჩუნებლად. ამგვარად, ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარების სამწლიან სამოქმედო გეგმაში, მე-4 მოქმედებად მითითებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება.

პერსონალის მართვის პოლიტიკაში, უნივერსიტეტს აქვს პრიორიტეტული მიმართულებები და პერსონალის მართვის სისტემის დავალებები, სადაც პრიორიტეტს წარმოადგენს ახალი პერსონალის მოსაზიდად სისტემის შემუშავება, პერსონალის მოტივაციის გაზრდა, ახალი თანამშრომლების სამუშაო პროცესებში აქტიური ჩაბმა და ა.შ.. ხელმძღვანელობის მიერ პერსონალის განვითარების ხელშეწყობა დასტურდება პერსონალური ტრენინგების დაფინანსებით, კონფერენციების ორგანიზებითა და პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობის მხარდაჭერით. უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, დიდი კითხვარი შემუშავდა და შეივსო დამსაქმებლების მიერ და მათი შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა 2018 წლისთვის, რათა გაეზარდა პერსონალის კმაყოფილება.

ბნსუ ასევე აგროვებს უკუკავშირს სასწავლო პერსონალის შესაფასებლად სტუდენტების მხრიდან, პირველი შუალედური გამოცდის შემდეგ, რაც არ არის საკმარისი მათი მუშაობის საერთო სურათის დასანახად.

უნივერსიტეტმა დანერგა ხარისხის მოთხოვნები ყველა თანამდებობის სამუშაო აღწერასა და ხელშეკრულებებში. უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. პერსონალის მართვის პოლიტიკა/რეგულაციები.
2. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
3. ბნსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა , პირველი ნაწილი , 2019-2021;
4. პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
5. აკადემიური პერსონალის აფილირების წესები.
6. გასაუბრებები აფილირებულ და აკადემიურ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

1. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უნდა შეასრულოს აუცილებელი საქმიანობები პერსონალის შესაფასებლად და შედეგები წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რათა განიხილოს ხელმძღვანელობასთან, რომელიც მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს.
2. ბნსუ-ს პედაგოგიური პერსონალის შესახებ სტუდენტების მოსაზრების მოსაპოვებლად, აკადემიური წლის ბოლოს უნდა შეგროვდეს სტუდენტების უკუკავშირი.

<p>3. უნივერსიტეტმა უნდა მოიწვიოს მოქმედი მეზღვაურები, რომლებიც სტუდენტებს გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, გამოწვევებსა და მოწყობილობებს. ეს სტუდენტებისთვის მოტივაციის მიმცემი იქნება.</p> <p>4. სულ მცირე ერთი თანამშრომელი უნდა აიყვანოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში.</p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>უზრუნველყავით მდგრადობა, ბნსუ-მ უნდა გააფართოვოს/განავითაროს კვლევითი საქმიანობა.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა</b></p> <p>აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბნსუ-ს ჰყავს 22 აფილირებული და 34 აკადემიური თანამშრომელი. აკადემიური პერსონალის დასაქმება ხდება გამჭვირვალე, ღია კონკურსის მეშვეობით. უნივერსიტეტის პერსონალის რაოდენობისა და სამუშაო დატვირთვის ეფექტურად დაგეგმვის მიზნით, უსდ-ს აქვს ახალი დოკუმენტი - პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიის თანახმად, თითოეული თანამშრომელი ავსებს დღიურ სამუშაო დატვირთვას, შემდეგ სტრუქტურული ერთეულის უფროსი ადგენს თანამშრომლის თვიურ სამუშაო დატვირთვას, რის შემდეგაც გამოითვლება თანამშრომლის რეალური სამუშაო დატვირთვა, სპეციალური ფორმულის მეშვეობით და საბოლოოდ სრულდება მთლიანი სტრუქტურული ერთეულის სამუშაო დატვირთვა. ეს მეთოდი იძლევა იმის განსაზღვრის საშუალებას, თუ რამდენად უზრუნველყოფს სამუშაო დატვირთვა პერსონალის ვალდებულებების სათანადო შესრულებას, ასევე ახალი პერსონალის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პერსონალზე დაკისრებული დავალებების შესრულებას.</p> <p>აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მთავარი ფაქტორია ამჟამინდელი და მომავალი სტუდენტების, აკადემიური წლის, პროგრამებისა და ბიუჯეტის რაოდენობა. პერსონალის დაქირავებისა და სამუშაო დატვირთვის პირობების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, ასევე შეიმუშავა პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, აკადემიური პერსონალის აფილირების წესები, ასევე ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერები. ამჟამად, მოწვეული პერსონალის/სტუდენტების თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია და ბნსუ განიხილავს სასწავლო პერსონალის გაზრდას, მეტი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში. სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად გამოჩნდა, რომ პერსონალის სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს მათი ვალდებულებების სათანადო შესრულებას.</p> <p>აფილირებული აკადემიური პერსონალი თავის აფილირებას განსაზღვრავს მხოლოდ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ. ეს დებულება დასტურდება 22 აფილირებულ თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პერსონალის მართვის პოლიტიკა/რეგულაციები.</li> <li>2. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა</li> </ol>

<p>3. პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია.</p> <p>4. აკადემიური პერსონალის აფილირების წესები.</p> <p>5. გასაუბრებები აფილირებულ და აკადემიურ პერსონალთან.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

**5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.**

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს

სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს

სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

**5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, სტუდენტის უფლებები**

- o უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ვიზიტის დროს, ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა დოკუმენტაცია სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილებისთვის. აკადემიას აქვს განათლების აღიარების ხელსაწყოები და პროცედურები და პოლიტიკა სტუდენტების უფლებების დასაცავად. ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულია ბნსუ-ს ვებგვერდზე (bntu.edu.ge) და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ ინფორმაცია ამ დოკუმენტების არსებობის შესახებ, ასევე სტუდენტებმა თქვეს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა შეავსონ ლექტორის შეფასების ფორმები, ონლაინ რეჟიმში. ასევე, მათ შეუძლიათ გაასაჩივრონ თავიანთი შეფასება პროფესორებთან, თუკი ისინი უკმაყოფილოები არიან ქულებით და უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ფაკულტეტი ვალდებულია შექმნას საბჭო, რომელიც ამ საკითხს ხელახლა განიხილავს. აკადემიაში არის თვითმმართველობა, რომელიც ატარებს შეხვედრებს სტუდენტებთან, რომ განიხილონ მათი პრობლემური საკითხები, რაც შემდეგ განიხილება ადმინისტრაციასთან.

ექსპერტებმა შეამოწმეს პროფესიული, ყველა საფეხურის სტუდენტის კონტრაქტის ფორმა. ისინი შედგენილია სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების მხარდაჭერის საფუძველზე. ბნსუ-ს სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, შეადგინონ სწავლის საფასურის გადახდის საკუთარი განრიგი და გადაიხადონ ისინი რამდენიმე ნაწილად. ამასთან ერთად, ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს ეკუთვნით ფასდაკლება, თუკი ისინი ბნსუ-ს მაგისტრატურაზე გააგრძელებენ სწავლას. სტუდენტებს აქვთ უფლება: იყვნენ ნებისმიერი



სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, იყვნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრი, გამოიყენონ მობილობა და შეიცვალონ ფაკულტეტი თუ უნივერსიტეტი, აიღონ აკადემიური შვებულება, შეაფასონ აკადემიური და მმართველი პერსონალი და ა.შ.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
1. bntu.edu.ge
  2. <http://bntu.edu.ge/swavla/student/gzamklevi>
  3. <http://bntu.edu.ge/swavla/iuridiuli-cnobari>
  4. ხელშეკრულებები სტუდენტებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის ღონისძიებებზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს
- o უსდ-ს გააჩნია დაბალი სოციალური ფენის სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სტუდენტთა რეგისტრაციის, მობილობისა და შეფასების დეპარტამენტში არის შესაბამისი პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უზრუნველყოს საკონსულტაციო მომსახურება იმისათვის, რომ დაგეგმოს საგანმანათლებლო პროცესი და გააუმჯობესოს აკადემიური საქმიანობა. ისინი ეხმარებიან სტუდენტებს, რომ გამოიყენონ შიდა სასწავლო მენეჯმენტის სისტემა, რომ დარეგისტრირდნენ ლექციებზე. ეს სისტემა ეხმარება სტუდენტებს შეამოწმონ საკუთარი ცხრილი, სტატუსი, ქულები, მიიღონ სასწავლო მასალები და ინფორმაცია თავიანთი ლექციების შესახებ. ეს ინფორმაცია, გასაუმჯობესებლად დროს, ყველა სტუდენტმა დაადასტურა და ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა ზემოთ ხსენებული სწავლის მართვის სისტემა ინტერნეტში.

ბნსუ-ს სტრუქტურაში მოქმედებს კარიერული მხარდაჭერის სამსახური, პრაქტიკისა და დასაქმების სამსახურის სახელით, მაგრამ ეს ორგანიზაციული სტრუქტურა დაინერგა წელს და ადგილზე ვიზიტის დროს სრულად არ ფუნქციონირებდა. მაგალითად, იქ არ იყო ადგილი ზემოთ ხსენებული სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებელი პირისთვის და სტუდენტებმა არ იცოდნენ, რომ უნივერსიტეტი ასეთი სახის მომსახურებას უზრუნველყოფს. არ არსებობს კურსდამთავრებულების და მათი დასაქმების სტატუსის მონაცემთა ბაზა, ამიტომ ბნსუ ვერ ადევნებს თვალს მის კურსდამთავრებულებს. თუმცა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ერთეულის დანერგვამდე, ფაკულტეტის დეკანები ეხმარებოდნენ სტუდენტებს სხვადასხვა კომპანიებში სტაჟირების გასავლელად და ეხმარებოდნენ რეზიუმეების შევსებაში, რომ

<p>მოემდებნათ შესაფერისი სამსახური. ფაკულტეტი მართავს შეხვედრებს დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან და კომუნიკაციის პროცესს ამარტივებს ამ ორ მხარეს შორის. გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფს განუმარტეს, რომ დღეისათვის პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური დახმარებას უწევს მხოლოდ საზღვაო ფაკულტეტის სტუდენტებს, თუმცა არა ლოგისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს.</p> <p>პროგრამაზე დაყრდნობით, სასწავლო პერიოდში განხორციელდა პრაქტიკა, რომელსაც დაეხმარა ფაკულტეტი. პრაქტიკის გაღვაწად წარმოადგენს ორივე ფაკულტეტის პროგრამების შემადგენელ ნაწილს. რამდენადაც ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები საჭიროებენ სპეციფიური პრაქტიკის გაღვაწად, გარკვეული სირთულეები იქმნება ხომალდის ან გემის მოსამუშაოდ, ზღვაში პრაქტიკის გავლისთვის, თუმცა უნივერსიტეტის პერსონალი თავის მაქსიმუმს აკეთებს, რომ შეხვედეს უცხოურ კომპანიებს და დაეხმაროს სტუდენტებს სათანადო პრაქტიკის მიღებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოინახულა გემი „ელიტა“, რომელიც უნივერსიტეტის საკუთრებაა და გამოსადეგია პრაქტიკის ნაწილისთვის (მეორე ნაწილი ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო ხომალდებზე).</p> <p>ბნსუ-ს სტუდენტები ძალიან აქტიურად არიან ჩაართულნი სხვადასხვა პროექტებში. მთავარი ინიციატორია სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც გეგმავს და ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობებს, ექსკურსიებს და ა.შ. მოქმედებს პროცედურა, რომლითაც სტუდენტებმა უნდა წარადგინონ თავიანთი პროექტები (სპორტული ღონისძიებები, კულტურული ღონისძიებები და ა.შ) და მოიპოვონ დაფინანსება. თვითმმართველობამ მოგვაწოდა იმ ღონისძიებების სია, რომლებიც წელს დაფინანსდა და შესრულდა. ასევე, მომავალი წლისთვის დაგეგმილი სპორტული და კულტურული აქტივობების ჩამონათვალი.</p> <p>ბნსუ-ს აქვს სპეციალური დოკუმენტი, სადაც დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის სპეციალური შეთავაზებებია მოცემული. ეს შეთავაზებები მოიცავს სპეციალურ ფინანსურ და სხვა ტიპის უპირატესობებს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. <a href="http://bntu.edu.ge/swavla/student/gzamklevi">http://bntu.edu.ge/swavla/student/gzamklevi</a></li> <li>2. <a href="http://bntu.edu.ge/swavla/iuridiuli-cnobari">http://bntu.edu.ge/swavla/iuridiuli-cnobari</a></li> <li>3. ბნსუ-ს სტრუქტურა.</li> <li>4. დაბალი სოციალური და ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა.</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პრაქტიკისა და დასაქმების სამსახური ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბნსუ-ში მოქმედი ყველა პროგრამის სტუდენტისთვის.</li> <li>2. ბნსუ-მ უნდა შექმნას კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა და თვალი ადევნოს მათ კარიერას.</li> </ol>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>

**6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

**6.1 კვლევითი საქმიანობა**

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 რამდენადაც ბნსუ-ს არ აქვს სადოქტორო პროგრამა, რომელიც კვლევას ითვალისწინებს, აკადემიური პერსონალი ძირითადად ორიენტირებულია სწავლებაზე, თუმცა კვლევა მცირე დონეზე მაინც არის, რამდენადაც ბნსუ-ს აქვს სამაგისტრო პროგრამები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას საჭიროებს. აკადემიური პერსონალი მიზნად ისახავს მეთოდოლოგიური და სასწავლო მასალების მომზადებას საზღვაო სფეროში, ქართულ ენაზე. ბნსუ-ს განვითარების პოტენციურ სფეროს წარმოადგენს კვლევითი საქმიანობა. აკადემიურ პერსონალს აქვს კვლევითი ნაშრომები, თუმცა მათ არ აქვთ მაღალი სამეცნიერო ინდექსები. მხოლოდ ერთ მოწვეულ პროფესორს აქვს ერთი სტატია, რომლის ნახვაც შესაძლებელია Google Scholar-ში; თითქმის ყველა სხვა სტატია გამოქვეყნებულია ადგილობრივ დონეზე ან არაცნობად ჟურნალებში. შესაბამისად, მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოცემის პოვნაა შესაძლებელი. თუმცა, მათ აქვთ თავიანთი სამეცნიერო ჟურნალი და ორგანიზებას უწყვენ სამეცნიერო კონფერენციებს ყოველ წელს. ცდილობენ ლეგიონული და ადგილობრივი დონის მონაწილეები ჩართონ ამ კონფერენციებში. ამსთან, მხოლოდ რამდენიმე მკვლევარს ჰქონდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებში. არ არსებობს ერთობლივი საერთაშორისო კვლევითი ნაშრომები და აქტივობები, მასწავლებლები და მკვლევარები არ მონაწილეობენ პროფესიონალურ ფორუმებსა და ბლოგებში.

სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, მათ აღნიშნეს, რომ არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა კვლევით აქტივობებში, უფრო მეტიც, მათ არ იცოდნენ კვლევის მნიშვნელობა.

პროფესორებთან, მკვლევარებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს, გამოლვინდა, რომ ადგილობრივ დონეზეც კი კვლევის შედეგები არ არის ინტეგრირებული ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებში, ასევე უცნობია ამ კვლევების ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ინოვაციური მიზნები. მათ გაფორმებული აქვთ თანამშრომლობის მემორანდუმები კომპანიებთან, თუმცა იმისათვის, რომ განახორციელონ კვლევის შედეგები, არ აქვთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან.

ბნსუ-ში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სამაგისტრო ნაშრომები (ბოლო 5 წლის). სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა კარგად არის აგებული და შესრულებული. სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნების თანახმად, კერძოდ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში (სამაგისტრო ნაშრომი), სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უზრუნველყოფილია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება უზრუნველყოფს მაგისტრანტების თეორიული ცოდნისა და კვლევითი უნარების დონის შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

მათი საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის უმეტესობა დაგეგმილია 2019 წლიდან და ეს მითითებულია ბნსუ-ს სტრატეგიული გეგმაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბნსუ-ს მისია.
2. ბნსუ-ს განვითარების სტრატეგია (2019-2025)
3. ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია (2019-2025)
4. დეპარტამენტის განვითარების კონცეფცია 2019-2025.
5. მემორანდუმები.

<p>6. გამოკითხვის შედეგები;</p> <p>7. ბნსუ-ს კვლევით საქმიანობაში ჩართულობის აღმწერი/დამადასტურებელი მასალები.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მონაწილეობის მიღება საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში.</li> <li>2. კვლევის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და სასწავლო საქმიანობაში.</li> <li>3. ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის დამყარება მათთან კვლევითი მიღწევების გაზიარების მიზნით.</li> <li>4. კვლევითი სამუშაოების აქტიურად განხორციელება.</li> <li>5. პროფესიულ ფორუმებსა და ბლოგებში მონაწილეობის მიღება.</li> <li>6. კვლევით სამუშაოებში სტუდენტების ჩართვა.</li> </ol>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.</li> <li>○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.</li> <li>○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბნსუ ცდილობს ჩაატაროს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი აქტივობები, უზრუნველყოს დაფინანსება აკადემიური, სამეცნიერო კვლევითი მივლინებებისთვის (რომელთა რაოდენობაც დაბალია), სახელმძღვანელოებისა და ქართულენოვანი საზღვაო მასალების გამოსაქვეყნებლად. თუმცა, დღეისათვის მათი ინტერნაციონალიზაციის დონე ძალიან დაბალია. ბნსუ-ს არ გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები კვლევითი საქმიანობისა და ინტერნაციონალიზაციისთვის, ასევე არ აქვს საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები კვლევების დასაფინანსებლად. ბნსუ-ს არ აქვს გამოცდილება, დაეხმაროს მკვლევარებს დაფინანსების ან კვლევის წყაროების მოძიებაში, თუმცა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებებსი დროს, აღნიშნეს უნივერსიტეტის მზადყოფნა ინფრასტრუქტურის თავისუფლად გამოყენების შესახებ. ბნსუ-ს არ აქვს საგრანტო პროექტები/პროგრამები, შესაბამისად მათ არ აქვთ კვლევითი ერთეულები ამ მიმართულებით.</p> <p>ბნსუ-ს კარგი კონტაქტები აქვს პოსტ-საბჭოთა და სოციალისტურ ქვეყნებთან, რაც მოიცავს ურთიერთობას კონფერენციებში მონაწილეობის ფარგლებში. ბნსუ-ს არასდროს ჰქონია მობილობის პროგრამები სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისთვის.</p> <p>თავიანთ სტრატეგიულ გეგმაში 2019-2025, ისინი გეგმავენ ამ საკითხების გამოსწორებას განათლებისა და კვლევის ხარისხის გასაზრდელად, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (მათ შორის საერთაშორისო) თანამშრომლობით, ასევე ინგლისური ენის დანერგვით და განხორციელებით და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებით (რაც მათ უკვე აქვთ).</p>

უფრო კონკრეტულად კი იგეგმება: საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების განვითარება, ბნსუ-ს აკადემიური პერსონალის ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში, პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, სტუდენტების მომზადება კონფერენციებისთვის, მონაწილეობა ერთობლივ პროექტებში/პროგრამებში, საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალების რაოდენობის გაზრდა. ბნსუ-ს არ აქვს მექანიზმი კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. კვლევითი საქმიანობის რეგულაციები.
2. სამიზნე პროექტების კონკურსის მასალები. პროექტის დაფინანსების მასალები.
3. ბნსუ-ს ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

1. საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი საზოგადოებების ჩართვა.
2. საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების განვითარებაზე ზრუნვა და მათი მართვა.
3. საერთაშორისო მობილობის პროგრამებში მონაწილეობის მიღება.
4. საერთაშორისო დონეზე კვლევის მხარდაჭერა და ეფექტური სისტემის განვითარება.
5. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების ზრდა და მათი მხარდაჭერა.
6. კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად ეფექტური სისტემის შექმნა.

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბნსუ-ს არ აქვს სისტემა პლაგიატისთვის, თუმცა გეგმავენ მის შექმნასა და გამოყენებას 2019 წლიდან. დაწესებულებას არ აქვს სისტემა პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად, შესაბამისად არ არსებობს განხორციელებული კვლევითი საქმიანობის ანალიზის სისტემები. სტუდენტები არ არიან კარგად ინფორმირებული კვლევითი აქტივობების შესახებ. ბნსუ-მ ჩაატარა აკადემიური პერსონალის აქტივობის ანალიზი 2013-2018, სადაც კვლევითი საქმიანობაც შედის. ამ მოცულობის გაზრდა იგეგმება 2019-2025 წლებში, თუმცა დეტალურად არ არის გაწერილი კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმა; მოცემულია ზოგადი შემდგომი ნაბიჯების სია. სამეცნიერო სამუშაოების პროდუქტიულობა არის მეთოდოლოგიური მუშაობა, რაც აისახება რიდერებში, რომლებსაც ისინი აკეთებენ თავიანთი კურსებისთვის. ბნსუ-ს აქვს სამუშაო დატვირთვის სქემა აკადემიური პერსონალისთვის; ამის თანახმად იგი ვალდებულია ჩაატაროს კონკრეტული კვლევითი აქტივობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. კვლევით საქმიანობის მართვის რეგულაციები

<ol style="list-style-type: none"> <li>2. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.</li> <li>3. აკადემიური პერსონალის საქმიანობის ანალიზი.</li> <li>4. ბნსუ-ს განვითარების სტრატეგია (2019-2025)</li> <li>5. ბნსუ-ს ვებ-გვერდი</li> </ol>
<b>რეკომენდაციები:</b> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენება.</li> <li>2. კვლევით სამუშაოებსა და აქტივობებში სტუდენტების ჩართვა.</li> <li>3. ანგარიშების გამოქვეყნება განხორციელებული კვლევითი საქმიანობების შესახებ.</li> <li>4. კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების გეგმაში შეფასების შედეგების ასახვა.</li> </ol>
<b>რჩევები:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</li> </ul>

### 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<b>7.1 მატერიალური რესურსები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.</li> <li>○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.</li> <li>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.</li> <li>○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტის საკუთრებაშია რამდენიმე შენობა, რომლებიც კარგად არის აღჭურვილი იმისათვის, რომ ემსახუროს სასწავლო პროცესს მაქსიმუმ 1000 სტუდენტისთვის. ყველა სალექციო ოთახი ცოტა ხნის წინ გარემონტდა. თეორიული კლასების აუდიტორიებთან ერთად, უნივერსიტეტში არის ლაბორატორიები, რომლებიც სპეციალურად არის შექმნილი უნივერსიტეტის მთავარი დარგის შესაბამისად (ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების საწრთველი ლაბორატორია; ელექტრო-ნავიგაციური ლაბორატორია; გემის მართვისა და მანევრირების ლაბორატორია; კოლექტიური სამაშელო აღჭურვილობის სიმულატორი; ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი; ელექტრონულ-კარტოგრაფიული მოწყობილობების და ინფორმაციული სისტემების სიმულატორი; სამანქანე განყოფილების სიმულატორი; სანავიგაციო ხიდური გუნდური სიმულატორი, თხევადი ტვირთების ოპერაციების სიმულატორი და ნავთობმზიდი ტანჯერუს სატვირთი ოპერაციების სიმულატორი). უნივერსიტეტში არის პატარა „კაფე“; სივრცე სტუდენტური თვითმმართველობისთვის და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი 64 პერსონაზე. უნივერსიტეტის საკუთრებაშია სასწავლო გემი „ელიტა“, რომელიც ბათუმის პორტში დგას. ყველა შენობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობები</p>

<p>აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით: სახანძრო ჰიდრანტებით და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით&gt; საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საევაკუაციო გეგმები გამოქვეყნებულია შენობის ყველა სართულზე, გამოსაჩენ ადგილას, ყველა საკლასო ოთახში გამოქვეყნებულია საგანგებო სიტუაციების დროს შესაბამისი სამსახურის საკონტაქტო ნომრები.</p> <p>უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის ერთეული პასუხისმგებელია სტუდენტებისა და ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოებაზე, უკანონო ქმედებების პრევენციასა და მატერიალური რესურსების დაცვის გარანტიაზე. ამ მიზეზით, რამდენიმე კამერაა დამონტაჟებული როგორც შენობის შიგნით, ასევე გარეთ, ამასთან, ერთეულში დასაქმებული პირები უნივერსიტეტის ტერიტორიას აკონტროლებენ 24/7-ზე.</p> <p>პირველადი სამედიცინო დახმარების სამსახური მოქმედებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ამ მიზნით გამოყოფილია პატარა კაბინეტი და იქ მუშაობს ერთი თანამშრომელი. ადგილზეა ყველა საჭირო მოწყობილობა.</p> <p>უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. ლიფტი და სხვა კეთილმოწყობა უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროების მქონე პირების თავისუფალ გადაადგილებას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოყოფილია სპეციალური სანიტარული დაწესებულებები. თუმცა, ლიფტი არ არის ხელმისაწვდომი სხვა შენობებში, გარდა მთავარი კორპუსისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა საპირფარეშო მხოლოდ ერთია და ისიც ქალებისთვის. ყველა ოთახი არ იყო უზრუნველყოფილი სპეციალური სისტემით, რამაც შესაძლოა პრობლემები შექმნას ზაფხულში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა აიწევს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი</li> <li>2. შენობის საკადასტრო კვლევა.</li> <li>3. მოძრავ ქონებაზე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.</li> <li>4. ბნსუ-ს საქმიანობის მართვის მთავარი რეგულაციები (შიდა რეგულაციები).</li> <li>5. დოკუმენტები რომლებიც ადასტურებს კომუნალური მომსახურების გადასახადების გადახდას;</li> </ol>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები:</b></p> <p>სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის გაკეთდეს საპირფარეშოები მამაკაცთა სექციამდე ან ცალკე ოთახში, როგორც ქალებისთვის, ასევე კაცებისთვის.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>
<p><b>7.2. საბიბლიოთეკო რესურსები</b></p>
<p>ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.</p>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ბიბლიოთეკა დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც მოქმედებს საკუთარი რეგულაციებით. ბიბლიოთეკის სივრცე დაყოფილია სამკითხველო დარბაზად, სამუშაო ჯგუფის სივრცედ, რეპოზიტორით და ბიბლიოთეკის პერსონალის სივრცით. სამკითხველო</p>

დარბაზი აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით და უფასო უსადენო ინტერნეტით. ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღე, 61 საათის განმავლობაში. ასლის გადამღები/საბეჭდი მოწყობილობა და სკანერიც ასევე ხელმისაწვდომია სამკითხველო დარბაზში. ბიბლიოთეკაში განხორციელდა OPAC და ზოგიერთი რესურსი ხელმისაწვდომია მასში.

ბიბლიოთეკა მომხარებელს სთავაზობს ბიბლიოთეკებს შორის თხოვების სერვისს, თუმცა ზოგიერთი პარტნიორის შემთხვევაში ეს არ მუშაობს (გაუგებარია, როგორ იმუშავეს ეს საერთაშორისო პარტნიორების შემთხვევაში).

ბიბლიოთეკა სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოძიებას, თუმცა მონაცემთა ბაზების უმრავლესობა სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებშია, რაც არ არის საკმარისი უნივერსიტეტის პროფილისთვის. მოხმარების სტატისტიკა უკიდურესად დაბალია და არ არსებობს სერვისის სტუდენტებისა და ფაკულტეტის წევრებისთვის, სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოსაყენებლად. მონაცემთა ბაზებზე დისტანციური წვდომა შეუძლებელია. სტუდენტები ვერ იხსენებენ ბიბლიოთეკის პერსონალის მხრიდან რაიმე ტრენინგის ჩატარებას.

რეპოზიტორში წიგნის შეკვეთა ბიბლიოთეკისა და ინფორმაციული მეცნიერების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ხდება, თუმცა პროცესი უწყვეტია და რესურსების უმრავლესობა ჯერ არ არის დალაგებული სტანდარტების მიხედვით, შესაბამისად თავად ბიბლიოთეკის თანამშრომლისთვისაც კი არ არის ადვილი წიგნის პოვნა. ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა არც სტუდენტებისთვის, არც ფაკულტეტის წევრებისთვის. კერძოდ, ინფორმატიულობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების თვალსაზრისით.

ფაკულტეტის წევრების მიერ მომზადებული რიდეები, როგორც მთავარი სახელმძღვანელოები სტუდენტებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, უბრალოდ თარგმანია და არაა მითითებული წყაროები, რაც ორიგინალი წიგნების საავტორო უფლებების დარღვევა შეიძლება იყოს.

ბიბლიოთეკა ფაკულტეტის წევრებთან კომუნიკაციით განაახლებს სამკითხველო დარბაზებში ხელმისაწვდომ მასალებს, ეს მოიცავს როგორც სახელმძღვანელოებს, ასევე სამეცნიერო ლიტერატურასა და გზამკვლევებს და სხვა. სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის თანახმად, ისინი საკმარის მხარდაჭერას იღებენ ბიბლიოთეკის პერსონალისგან, თუმცა გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ბიბლიოთეკის პერსონალს სურს თავისი პროფესიული უნარების ამაღლება, თუმცა ამის შესაძლებლობა ჯერ არ მიეცათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბნსუ-ს ბიბლიოთეკის რეგულაციები.
2. მემორანდუმები.
3. სალიცენზიო ხელშეკრულებები
4. ბნსუ-ს საერთო საინფორმაციო სივრცის განვითარების კონცეფცია.
5. ბნსუ-ს ვებ-გვერდი
6. ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

1. სამეცნიერო მონაცემთა ბაზების გამოწერა უნდა მოხდეს უნივერსიტეტის პროფილის გათვალისწინებით.
2. ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა ჩაატაროს რეგულარული ტრენინგები როგორც ფაკულტეტის წევრების, ასევე სტუდენტებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათ მიერ მონაცემთა ბაზების მოხმარებას.
3. ბიბლიოთეკის პერსონალმა უნდა განსაზღვროს თავისი როლი სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებში, აკადემიური ერთიანობის თვალსაზრისით.
4. წიგნების განლაგება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა გაიზარდოს მათზე ხელმისაწვდომობა.



- 5. ბიბლიოთეკის პერსონალმა მხარი უნდა დაუჭიროს ფაკულტეტის წევრებს რიდერების მომზადებაში, აუხსნას მათ ციტირებისა და რეფერირების მთავარი წესები.
- 6. ბიბლიოთეკარებმა უნდა განაახლონ თავიანთი პროფესიული უნარები რეგულარულად, ეს შესაძლებელია მობილობის პროგრამებით, რომელთა განვითარებასაც უნივერსიტეტი უახლოეს წლებში გეგმავს.

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**7.3 საინფორმაციო რესურსი**

- o უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და მასზე ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- o უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას
- o უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბნსუ-ს ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მოთხოვნებს. უნივერსიტეტში არის ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ვებგვერდთან და ინტერნეტთან (უსადენო ინტერნეტთან) ასევე კომპიუტერულ პროგრამებთან და მონაცემთა ბაზებთან (სერვერებთან) დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების გადაჭრაზე.

IT რისკების მართვის პრაქტიკა მკაფიოა და შესრულებადი, ადმინისტრაციულ პროცესებთან დაკავშირებული მონაცემები ინახება ონლაინ, სასწავლო საინფორმაციო სისტემაში. მონაცემთა რეზერვის შექმნა ხდება რეგულარულად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები რელევანტურია და დაცული.

აკადემიის შენობის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს Wi-Fi, რომელიც ღიაა ყველასთვის. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო მენეჯმენტის სისტემა, სადაც ხდება სტუდენტების რეგისტრაცია, ჩანს სალექციო ცხრილები (დრო, ლექტორის სახელი და აუდიტორიის ნომერი), სტუდენტები ამ სისტემაში ხედავენ შეფასებებსა და სასწავლო პროგრესს, ამავე სისტემიდან შეუძლიათ აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის (ზოგ შემთხვევებში) შეფასება და სასწავლო მასალების მიღებაც. აკადემიური პერსონალი აღნიშნულ პროგრამას იყენებს ლექციების დასაგეგმად, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან კომუნიკაციისა და შეფასებების მიზნით.

ვებგვერდი სრულყოფილად ფუნქციონირებს როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე. განთავსებულია განახლებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირებისთვის (მაგალითად დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სხვა).

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
1. ვებ-გვერდი- bntu.edu.ge
  2. კონტრაქტები მომწოდებლებთან.
  3. ტექნიკური მხარდაჭერისა და რეგულაციის სერვისის წესები
  4. ინტერვიუს შედეგები

<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები:</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
<b>7.4 ფინანსური რესურსები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.</li> <li>○ უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.</li> <li>○ უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.</li> <li>○ უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.</li> <li>○ უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა</li> </ul>
<p><b>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტის მთავარი საფინანსო გეგმა შეთანხმებულია ბიუჯეტთა, რომელიც შედგენილია ორი ნაწილისგან - შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის შექმნა მოიცავს, მოსამზადებელ, ფორმირებისა და დამტკიცების ეტაპებს. ფინანსური რესურსების გამოყოფის პროცესი მკაფიოა და მეტნაკლებად ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმაში ხაზგასმულ პრიორიტეტებს. ბიუჯეტის მთავარი შემოსავლის წყარო არის სწავლის საფასური. ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას იღებენ აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ისინი წარადგენენ ინფორმაციას საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტში, რომელიც, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტს. ბიუჯეტის სამუშაო ვერსია წარედგინება აკადემიურ საბჭოს.</p> <p>აკადემიის ბიუჯეტის ფინანსები მიმართულია საგანმანათლებლო ფუნქციების უზრუნველსაყოფად. თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, ბიუჯეტის მთავარი ნაწილი გამოიყენება ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ადმინისტრაციული ფუნქციებისთვის. აკადემიური საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევის დაფინანსება მოცემულია ბიუჯეტში, თუმცა ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თანხის ოდენობა მაინც დაბალია სხვებთან შედარებით.</p> <p>გასაუბრებების თანახმად, ფინანსური მონიტორინგი ხორციელდება როგორც აკადემიური საბჭოს, ისე საფინანსო ოფისის მიერ. თუმცა, არ იყო არანაირი დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ფინანსური აუდიტი ჩატარდა უფლებამოსილი აუდიტორის მიერ, ამასთან ერთად, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე აუდიტის ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი, არც ბიუჯეტია განთავსებული.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ბნსუ-ს 2013-2017 წლების ბიუჯეტი</li> <li>2. 2018 წლის ბიუჯეტი</li> <li>3. საფინანსო დეპარტამენტის რეგულაციები</li> <li>4. ინტერვიუს შედეგები</li> </ol>

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს მიმდინარე კვლევითი აქტივობების შესაბამისად, პრიორიტიზირება უნდა მოხდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების პროგრამებით.</p>
<p><b>რჩევები:</b></p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.</p>